# საქართველოს თავდაცვის მინისტრის

# ბრძანება №52

**2024 წლის 15 მაისი**

**ქ. თბილისი**

**„სანივთე ქონებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 26 იანვრის №21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„სანივთე ქონებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 26 იანვრის №21 ბრძანებით (ვებგვერდი, 30/01/2024, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017198) დამტკიცებული №1 დანართის №11 ნორმის შენიშვნის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამინისტროს სისტემის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირების სანივთე ქონებით უზრუნველყოფა, ამ ნორმაში მოცემული სანივთე ქონების ფარგლებში, შესაბამისი წარდგინების შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი** **ირაკლი ჩიქოვანი**